# სასურსათო უსაფრთხოების დაცვა მთავრობის უპირველესი მოვალეობაა

*პაატა კოღუაშვილი,*
*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი*
*შოთა ჩხეიძე,*
*ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი*

**„სიღარიბე სასურსათო უსაფრთხოების განუხორციელებლობის ძირითადი მიზეზია“**
*FAO-ს რომის დეკლარაციიდან. 1996 წელი.*

სასურსათო უშიშროება (უსაფრთხოება) განეკუთვნება ფუნდამენტურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ პრობლემათა კატეგორიას. სურსათს, როგორც სასიცოცხლო უზრუნველყოფის მთავარ კომპონენტს, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში უახლოეს მომავალში გადასაჭრელი პრობლემებიდან უპირველესს სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა წარმოადგენს. მისი გადაწყვეტა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა. მასში მოიაზრება ქვეყნის უნარი (საშუალება) უზრუნველყოს საკუთარი მოსახლეობა კვების ძირითადი პროდუქტებით, ადგილობრივი რესურსების წარმოების ხარჯზე. დღეისთვის ამ პრობლემისადმი ქვეყანაში დამკვიდრებული დამოკიდებულება და მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი მახასიათებლების არსებული პარამეტრები,არა მარტო საფრთხეს უქმნის ფიზიოლოგიური ნორმებით საქართველოს მოსახლეობის გამოკვებას, არამედ პრაქტიკულად გამორიცხავს ქვეყნის შემდგომ ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში და მთლიანობაში საფრთხის ქვეშ აყენებს ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების პერსპექტივას.

ჩვენი ქვეყნისთვის ამ პრობლემის აქტუალობას აძლიერებს საერთაშორისო სასურსათო ბაზარზე ჩამოყალიბებული ტენდენციები, სურსათზე ფასების ზრდის დინამიკა, ეროვნული სასურსათო ბაზრის დღევანდელი მდგომარეობა და ექსპორტ-იმპორტის ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტი, რომელიც არსებითად დიდი ოდენობის სურსათის იმპორტითაა განპირობებული (ცნობისათვის, 2012 წელს საქართველოში იმპორტირებულ იქნა 1,1 მლრდ. აშშ დოლარის სასურსათო პროდუქცია, ხოლო ექსპორტმა მხოლოდ 443 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საყურადღებოა ის, რომ იგივე მაჩვენებლები 2003 წელს 171 და 163 მლნ. აშშ დოლარი იყო).

მართალია, ეროვნული სასურსათო უშიშროება დაფუძნებულია საკუთარი წარმოების კვების ძირითადი პროდუქტებით მოსახლეობის დაკმაყოფილებაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს სურსათის იმპორტზე საერთოდ უარის თქმას, რომლის გადიდება, როგორც წესი, იწვევს ადგილობრივი წარმოების გაჩანაგებას და სურსათით თვითუზრუნველყოფის დონის შემცირებას. ამიტომაა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნები, ხელმძღვანელობდნენ რა კონკურენტული უპირატესობის კანონის მოთხოვნებით, დასაშვებად მიიჩნევენ სამამულო ბაზარზე სურსათის იმპორტს **15-20%-ის** ფარგლებში. ამ პირობებში არც ეკონომიკური სარგებლის მიღების შანსი იკარგება და არც კონკურენცია სუსტდება სამამულო საქონელმწარმოებელთა შორის. ამასთან, საფრთხე არ ემუქრება არც ეკონომიკურ და არც სასურსათო დამოუკიდებლობას.

დღეს უკვე აღარ კამათობენ იმ ბანალურ ჭეშმარიტებაზე, რომ მიწის რესურსების მეტნაკლებად მქონე ნებისმიერი ქვეყნისთვის სასურსათო უშიშროების მიღწევა აგროსასურსათო სექტორის განვითარებაზეა დამოკიდებული. ამ მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ისეთი სამეურნეო და ეკონომიკური მექანიზმის შემუშავებას ენიჭება, რომელიც სრულად ითვალისწინებს ამ სექტორის განვითარების როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებსაც. თუ ამ მოთხოვნების დონეზე გავაანალიზებთ საქართველოს აგროსასურსათო სექტორის განვითარების ძირითად მახასიათებლებს, დავინახავთ, რომ ეკონომიკის ეს უმნიშვნელოვანესი სექტორი ჯერ კიდევ რეფორმირების პროცესშია და ამდენად აქ მოქმედ ერთიან, დასრულებული სახის სამეურ-

ნეო თუ ეკონომიკური ხასიათის მექანიზმზე ლაპარაკი არ შეიძლება. პირიქით, შეინიშნება ღრმა დისპროპორციები სექტორის ცალკეული დარგების განვითარებაში, ამასთან ერთად, სახეზეა სუსტი კავშირები და წინააღმდეგობები, რაც იწვევს მთლიანად აგროსასურსათო სექტორის განვითარების საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებას, მისი პროდუქტიულობის შემცირებას და ამით სასურსათო უშიშროების პრობლემის კიდევ უფრო გამწვავებას. ამაზე მეტყველებს დარგთაშორისი კავშირების რღვევა, არასწორი ფასების პარიტეტი სასოფლო და სამრეწველო წარმოშობის პროდუქციაზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაცემის დიდი მასშტაბები და სხვ. რაც სულ უფრო ზრდის საზღვარგარეთის ქვეყნებზე საქართველოს სასურსათო დამოკიდებულების ხარისხს, ადიდებს საგადასამხდელო ბალანსის დეფიციტს და იწვევს მასთან დაკავშირებულ ნეგატიურ პროცესებს. სურსათის იმპორტზე ორიენტირება უარყოფითად აისახება ეროვნული სასურსათო პროდუქციის წარმოებაზე, რაც, საბოლოო ანგარიშით, მკვეთრად აქვეითებს ქვეყნის ეკონომიკური უშიშროების დონეს, ამცირებს სავალუტო რეზერვების მოცულობას და ქმნის ეროვნული ვალუტის ინფლაციის საშიშროებას.

უდავო ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური სიტუაცია და მისგან გამომდინარე სოციალური ფონი, ძირითადად, ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობის პასიური როლითაა განპირობებული. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია მეტ-ნაკლებად ნორმალური განვითარება ეკონომიკურად ძლიერი სოფლის მეურნეობის გარეშე, მით უფრო საქართველოს, სადაც სამამულო სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალი მულტიპლიკაციური ეფექტით აისახება მთელი ეკონომიკის განვითარებაზე. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არც ერთ განვითარებულ ქვეყანას არ მიუღწევია წარმატებისთვის აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მიმართულებით ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება, სადაც უკვე დიდი ხანია რაც ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, რეგულირდება სურსათის ექსპორტი და იმპორტი, გამოიყოფა საჭირო სუბსიდიები სტრუქტურული გარდაქმნებისთვის, საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნისათვის, აგრარული პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებისა და რეალიზაციისთვის, დგინდება პროდუქციის წარმოების კვოტები, გარანტირებული ფასები და ა.შ. რაც შეეხება საქართველოს, აქ პრაქტიკულად არც ერთი ზემოაღნიშნული სტიმული არ მოქმედებს. მიგვაჩნია, რომ აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის საკითხი ჩვენს ქვეყანაში განხილული უნდა იქნეს მეწარმეობის განვითარებასა და მიკროდონეზე წარმოების თვითრეგულირებასთან მჭიდრო კავშირში. ყველა შემთხვევაში სახელმწიფო რეგულირების ფორმისა და მეთოდის განსაზღვრისას უპირატესობა უნდა მიეცეს იმ კონკრეტულ ეკონომიკურ თუ ორგანიზაციულ ღონისძიებებს, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ წარმოების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, საბოლოო ანგარიშით კი, ქვეყანაში სურსათით თვითუზრუნველყოფას[1] აღიარებული ნორმების ფარგლებში. ამას ადასტურებს საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ინსტიტუტების დასკვნები, მსოფლიო პრაქტიკა და გამოცდილება.

ზოგადად, თანამედროვე მსოფლიოში სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოებისადმი დიდი ყურადღება რამდენიმე მოსაზრებითაა განპირობებული:

- **სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიაა.** მსოფლიო მოსახლეობაში საშუალო ფენის მკვეთრი ზრდა იწვევს საკვებზე მოთხოვნასა და, შესაბამისად, მასზე ფასების განუხრელი ზრდის ტენდენციას. ამიტომ სასურსათო უშიშროება ყველა სახელმწიფოს სტრატეგიაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს;
- **მოსახლეობის ტრადიციული საქმიანობა სოფლად ქვეყნის რეკრეაციული სიმდიდრისა და სოციალური ფასეულობების შენარჩუნებას ნიშნავს;**
- **სასოფლო-სამეურნეო წარმოება ეროვნული იდენტურობისა და კულტურუ-**

1 სასურსათო „თვითუზრუნველყოფა“ გულისხმობს კვების ძირითადი პროდუქტებით ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, ადგილობრივი წარმოების ხარჯზე. ამ შემთხვევაში ზუსტად არ არის განსაზღვრული სამამულო წარმოების ის მინიმუმი, რომელიც საკმარისია სასურსათო უშიშროების შესანარჩუნებლად. სხვადასხვა მოსაზრებით, ეს მონაცემი 80-85 პროცენტის ფარგლებში მერყეობს (ქვედა ზღვარია 60%), აღნიშნული მაჩვენებელი არის პირობითი ორიენტირი, თორემ თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, მდგომარეობას ყველაზე უკეთ ასახავს დევიზი „დამოუკიდებელმა სახელმწიფომ უნდა აწარმოოს იმდენი სურსათი, რამდენის საშუალებასაც მისი ბიოგეოპოტენციალი იძლევა“.

**ლი მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია. კულტურულად, სოფელი და ღონიერი გლეხკაცი ერის თვითმყოფადობის (ვინაობისა და რაობის) შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია;**

საქართველომ, სხვა ცივილიზებულ ერთა მსგავსად, უნდა გამოკვეთოს პრიორიტეტები სოფლის მეურნეობაში. ჩვენი აზრით, პრიორიტეტები ამ სფეროში შეიძლება იყოს ორი მიმართულების: პირველი, სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის შენარჩუნება (ამ ამოცანაში შედის კულტურული და ველური ლანდშაფტების დაცვაც) და მეორე, სასურსათო უშიშროების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.

ნებისმიერ ქვეყანაში სოფლად მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და შედარებით მოკლე დროში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონის მიღწევა **მხოლოდ სისტემური ცვლილებებითა და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი.** მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი **ადამიანური რესურსების სამეწარმეო აქტივობის ამაღლებაა.** უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების უძირითადესი პროდუქტია ჯანმრთელი, მაღალკვალიფიციური, სოციალურად და გონებრივად განვითარებული ადამიანი. იგი ქვეყნისთვის არანაკლებ დიდი განძია, ვიდრე ეკოლოგიურად სუფთა გარემო და მსოფლიოში რეალიზებადი პროდუქცია. ამიტომაც, **სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი იდეაა გლეხკაცის მოფრთხილება და საზოგადოების გამოსაკვებად მისი შრომის სტიმულირება (მიწასთან მარადიული ურთიერთობა), ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფა, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება.** ასეა ჯანსაღ ქვეყნებში – ნაკლებ განვითარებულიდან დაწყებული და ყველაზე განვითარებული დემოკრატიებით დამთავრებული. მათ კარგად იციან, რომ **წააგებს ყველა, ვისაც არასწორი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა აქვს.**

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ შრომითი რესურსების სამეწარმეო გააქტიურება ყველაზე კარგად **სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებითაა შესაძლებელი.** საყურადღებოა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძვლად კოოპერაციულ საწყისებზე დამყარებული სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების გზა აირჩიეს თავის დროზე ევროკავშირის ქვეყნებმა, აშშ-მა, ისრაელმა და განვითარებული ეკონომიკის მქონე ბევრმა სხვამ (მათ შორის ბალტიის ქვეყნებმაც). ეს პროცესი ყველგან **სახელმწიფოს აქტიური მარეგულირებელი როლითა და ხელშეწყობით წარიმართა.**

საქართველოს უდავოდ შეუძლია კოოპერაციულ საწყისებზე მოახდინოს სოფლად მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობის მობილიზაცია და არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან ტექნიკურ-ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფი რეაბილიტაციაც და შემდგომი განვითარება. **სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას** ავტომატურად მოსდევს **სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება.** ესაა ცნების – **„ჯანსაღი საშუალო ფენა“** – რეალური შინაარსი.

საქართველოს აქვს შესაბამისი ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული პოტენციალი და სხვა კომპონენტები (მ.შ. გეოპოლიტიკური), რომლებიც აუცილებელია მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფისთვის (ბიორესურსის გამოყენებით შეუძლია 10-12 მლნ. ადამიანის გამოკვება). ამასთან, ის გამოირჩევა იმითაც, რომ აქ ადამიანის კვებისთვის აუცილებელი თითქმის ყველა სახეობის პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა და საკმარისი რეზერვია. ეს ნიშნავს, რომ **სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში საქართველოს შეუძლია საკუთარი მოსახლეობის გამოკვება სამამულო წარმოების პროდუქციით.** ანუ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ ნებისმიერ სასურსათო კრიზისს, გამოვკვებოთ საკუთარი თავი და გარკვეული რაოდენობის სოფლის მეურნეობის პროდუქცია ექსპორტზეც გავიტანოთ.

როგორც ცნობილია, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების დაცვა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის სტაბილურ უზრუნველყოფას საკმარისი რაოდენობის, სრულფასოვანი, უვნებელი და ხელმისაწვდომი სურსათით (ვინაიდან სურსათი მიეკუთვნება ადამიანის პირველ სასიცოცხლო საჭიროებას, სასურსათო უსაფრთხოება პრაქტიკულად უტოლდება ფიზიკურ უსაფრთხოებას). [2]

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში უხეშად ირღვეოდა სასურსათო უსაფრთხოების პრინციპები, სურსათის მოხმარების ნორმე-

ბი და აქედან გამომდინარე, წლიდან წლამდე უარესდებოდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

სასურსათო უსაფრთხოების ქვეშ 4 ძირითადი კომპონენტი უნდა მოვიაზროთ:

**1. მოსახლეობის უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობის სურსათით.**

ეს მიიღწევა როგორც ადგილობრივი სასურსათო პროდუქციის წარმოებით (თვითუზრუნველყოფა), ასევე არასაკმარისი პროდუქციის იმპორტით. ამ პრობლემის გადაწყვეტაში ძირითადი როლი ენიჭება სოფლის მეურნეობის სამინისტროს. თუმცა მნიშვნელოვანია ეკონომიკის სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების თანამონაწილეობაც (ინვესტიციების მოზიდვა, მწარმოებელთა ხელშეწყობა იაფი კრედიტებით, ტექნიკით, სასუქებით, წარმოებული პროდუქციის ბაზრის მოძებნა, დაზღვევის ორგანიზაცია, ასევე იმპორტით დაინტერესებული ბიზნესმენების ხელშეწყობა და სხვ.).

**2. მოსახლეობის უზრუნველყოფა სრულფასოვანი და დაბალანსებული სურსათით.**

მოსახლეობისათვის შეთავაზებული სურსათი უნდა იყოს მრავალფეროვანი და ხარისხოვანი, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ სასურსათო პროდუქტის მიღებას ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად. ეს ნიშნავს სხვადასხვა სურსათის იმ რაოდენობით მოხმარებას, რაც უზრუნველყოფს ორგანიზმის დაბალანსებულ მომარაგებას საჭირო ცილებით, ცხიმებით, ნახშირწყლებით, ვიტამინებითა და ორგანიზმისთვის საჭირო მიკროელემენტებით.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად პრიორიტეტული როლი ენიჭება ჯანმრთელობის სამინისტროსაც.

**3. მოსახლეობის უზრუნველყოფა უვნებელი სურსათით.**

შესაძლოა სურსათი რაოდენობრივად საკმარისი იყოს და დაცული იყოს მისი მოხმარების ბალანსი, მაგრამ შეიცავდეს ჯანმრთელობისათვის საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს და მიკრობიოლოგიურ დამბინძურებლებს (რადიონუკლიდები, მძიმე ლითონები, პესტიციდების, ნიტრატების ნარჩენები, სხვადასხვა ნეგატიური მოქმედების მიკრობები, ბაქტერიები და სხვ.). ამ პრობლემის მონიტორინგი და სურსათის უვნებლობის დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პრეროგატივაა, რაც უნდა განხორციელდეს „სურსათის უვნებლობის“ კანონის შესაბამისად. კერძოდ, შესაბამისი სამსახურის მიერ უნდა წარმოებდეს სისტემატური მონიტორინგი (ლაბორატორიული შემოწმება) სურსათის წარმოების ადგილზე, ასევე ტექნოლოგიური გადამუშავების პროცესში და სავაჭრო ქსელში, რამაც უნდა უზრუნველყოს ე.წ. „მიკვლევადობის“ განხორციელება.

**4. მოსახლეობის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი სურსათით.**

სურსათზე უნდა არსებობდეს როგორც ფიზიკური ასევე მატერიალური ხელმისაწვდომობა. პირველში იგულისხმება ის, რომ საჭირო სურსათი ქვეყნის ნებისმიერი მხარისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.[3]

ფიზიკური ხელმისაწვდომობის არსებობისას უკვე წინა პლანზე გამოდის სურსათზე ფინანსური ხელმისაწვდომობა ანუ მომხმარებელს არა მარტო სურვილი, არამედ მისი შეძენის საშუალებაც უნდა გააჩნდეს. დღეისთვის ფაქტია, რომ ქვეყნის მოსახლეობის 72% არასრულყოფილად იკვებება. **ეს პრობლემა ყველაზე აქტუალურია სასურსათო უსაფრთხოების დაცვის საქმეში და** ობიექტურად მოითხოვს რადიკალური ზომების მიღებას ქვეყნის მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენისთვის.

განვიხილოთ სასურსათო უსაფრთხოების თითოეული კომპონენტი:

1. რა მდგომარეობაშია სასურსათო პროდუქციის წარმოება საქართველოში და რამდენად ხორციელდება მოსახლეობის თვითუზრუნველყოფა სურსათით.

2 სასურსათო პრობლემა ადამიანისთვის შეიძლება წარმოიშვას ორი – ფიზიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტით. ფიზიოლოგიურ ასპექტში იგულისხმება სასურსათო დეფიციტი და მისი უვარგისობა. ამ შემთხვევაში ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათი ვერ, ან მხოლოდ ნაწილობრივ აღადგენს მის მიერ ცხოველმყოფელობის პროცესში დახარჯულ ენერგიას, რაც გამოხატულებას პოულობს შიმშილში და იწვევს ადამიანის ორგანიზმის თანდათანობით ცვეთას. რაც შეეხება სასურსათო უზრუნველყოფის დარღვევის სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტს (მხედველობაში გვაქვს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც სამუდამოდ ან დროებით დაკარგა სამუშაო და ნაკლებ მსყიდველუნარიანი გახდა, რომ უზრუნველყოს საკუთარი მოთხოვნილება საკვებზე), მას გლობალური უარყოფითი შედეგების გამოწვევა შეუძლია. როდესაც ანალოგიური შემთხვევები მასობრივ ხასიათს იღებს, საქმე გვაქვს სახელმწიფოს მძიმე ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობასთან, რომელიც შესაძლოა სოციალურ აფეთქებაშიც გადაიზარდოს.

3 მაგალითად, ახალქალაქს უნდა მიეწოდოს აჭარაში მოწეული ციტრუსი და პირიქით ახალქალაქიდან აჭარას – კარტოფილი. ამის განხორციელებაში სახელმწიფომ უნდა მიიღოს თუ პირდაპირი არა, ირიბი მონაწილეობა ვაჭრეთა ხელშეწყობის გზით.

ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ სასურსათო პროდუქციის წარმოება 1990 წლიდან დღემდე ქვეყანაში 3-ჯერ შემცირდა, ხოლო, 2004 წლიდან დღემდე – 2-ჯერ. ქვეყანაში წარმოებული სურსათი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოსახლეობის ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამის რაოდენობასაც კი. ეს არც უნდა იყოს დიდი მოულოდნელობა, თუ გავიხსენებთ, რომ FAO-ს მონაცემებით 2003-2009 წლებში საქართველოში **ერთ სულ მოსახლეზე აგრარული პროდუქციის წარმოების ინდექსი 29%-ით შემცირდა,** რაც ყველაზე უარესი მაჩვენებელია მსოფლიოს 194 ქვეყანას შორის. *ეს* მაჩვენებელი ბალტიის *ქვეყნებში* *გაიზარდა* 38-47%-ით, ბელორუსში – 64%-ით, მოლდოვაში – 16%, აზერბაიჯანში – 32%-ით, სომხეთში კი 89%-ით.

ნათესი ფართობების 2-ჯერ შემცირებასთან ერთად (2003-2011) 4-ჯერ შემცირდა ხორბლის წარმოება (თვითუზრუნველყოფა 35%-დან 6%-მდე დაეცა), სიმინდის, შესაბამისად – 1,6-ჯერ, კარტოფილის – 2-ჯერ, ბოსტნეულის – 2,5-ჯერ, ხორცის – 2-ჯერ, ხილის, ყურძნის, ციტრუსების – 5-ჯერ და ა.შ.

ფაქტობრივად შეწყდა ისეთი სტრატეგიული ნედლეულის წარმოება, როგორიცაა ჩაი და თამბაქო (ეს უკანასკნელი სურსათს არ მიეკუთვნება, მაგრამ მემცენარეობის ეს დარგი უმნიშვნელოვანესი იყო როგორც ადგილობრივი საწარმოებისათვის, ასევე თამბაქოს ნედლეული წარმატებით გამოიყენებოდა ექსპორტისათვის).

საყურადღებოა ის, რომ თითქმის 2-ჯერ შემცირდა ძირითად სასოფლო სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაც, რაც საშუალოდ 3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. მოსავლიანობის შემცირება პირდაპირი შედეგია წინა ხელისუფლების მიერ იმ ღონისძიებებზე უარის თქმისა, რომლებიც აუცილებელია აგროწარმოების განვითარებისა და შენარჩუნებისთვის. მხედველობაში გვაქვს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების მასობრივი გაუქმება ან შეზღუდვა (სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა), სოფლად საქონელმწარმოებლების ბედის ანაბარად მიტოვება, მათი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგებასა და პროდუქციის რეალიზაციაზე ხელის აღება და სხვ.

ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის, როგორც ქვეყნისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის იგნორირებაზე ნათლად აჩვენებს უკანასკნელ წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი მიზერული თანხები (0,4-1,5%-ის ფარგლებში) და შემოსული უცხო ინვესტიციების მოცულობა (საშუალოდ ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების 1%).

აგრარული სექტორის მიზანმიმართული განადგურების პოლიტიკის განხორციელების შედეგია აგრეთვე ის, რომ აგრარულ ქვეყანაში მოსახლეობის მიერ მოხმარებული სურსათის 70%-ზე მეტი იმპორტულია. ქვეყანაში შემოდის სასურსათო პროდუქციის ისეთი სახეობებიც, რომლის ძირითადი მწარმოებელი თვით საქართველო იყო (კარტოფილი, პომიდორი, კიტრი, სტაფილო და სხვა ბოსტნეული, ხილი). მაგალითად, ბოლო წლებში კარტოფილის იმპორტი 19-ჯერ გაიზარდა, მაშინ როცა ამ პროდუქციით თვითუზრუნველყოფა ქვეყანაში პრაქტიკულად 100%-ს შეადგენდა

დარგისადმი გატარებული ასეთი პოლიტიკა სრულიად მიუღებელი იყო ქვეყნისათვის, მაგრამ სამაგიეროდ ხელს აძლევდა მადალი რანგის ჩინოვნიკებს, რომლებსაც ხელში ჰქონდათ ჩაგდებული სასურსათო პროდუქტების იმპორტის მონოპოლია.

სამწუხაროდ, არავის უფიქრია უახლოეს პერიოდში მოსალოდნელ უმწვავეს კლიმატურ კატაკლიზმებზე და მისგან მოსალოდნელ მწვავე სასურსათო კრიზისზე (რომელიც, საერთაშორისო ექსპერტების დასკვნებით, გარდაუვალია მსოფლიოში), რომლის ნეგატიური შედეგები უპირველესად სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებზე აისახება.

აღსანიშნავია, რომ უახლოეს პერიოდში გარდაუვალი სასურსათო კრიზისის თავიდან აცილების ან შედარებით იოლად გადატანის მიზნით, დღეს პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ცდილობს მნიშვნელოვნად გაზარდოს სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი წარმოება და შეძლებისდაგვარად მოახერხოს სურსათით თვითუზრუნველყოფა.

ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის ოფიციალური პარამეტრების გაცნობა, რომლებიც მოცემულია ცხრილში:

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოში დღეისათვის არსებული სურსათის რესურსების მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მარტო ოპტიმალურს, არამედ კრიტიკულსაც კი.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილში მოყვანილი „ოპტიმალური“ პარამეტრები შეესაბამება ახალ „რეკომენდებულ“ ნორმებს, რომელიც სპეციალურად მნიშვნელოვნადაა შემცირებული საარსებო მინიმუმის გაიაფების მიზნით. ამის გამო ეს ნორმები მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ რეკომენდებულ ნორმებს. კერძოდ, ხორ-

| პროდუქციის სახე | პარამეტრები, ათ.ტ. | | |
|---|---|---|---|
| | ოპტიმალური | დღეს არსებული | კრიტიკული |
| მარცვლეული | 1300 | 220,7 | 750-800 |
| კარტოფილი | 450 | 228,8 | 250 |
| ბოსტნეული | 600 | 175,7 | 200-252 |
| ხილი და კენკრა | 580 | 180 | 300-330 |
| მცენარეული ცხიმები | 35 | 8,0 | 15-20 |
| შაქარი | 170 | 50 | 100-110 |
| ხორცი (ცოცხალი წონით) (2011 წლის მონაცემებით) | 150 | 45,3 | 85-90 |
| ძროხის რძე (2011 წლის მონაცემებით) | 990 | 523,6 | 550-570 |
| კვერცხი, მლნ. ცალი (2011 წლის მონაცემებით) | 610 | 427,6 | 330-350 |

ცისა – 2,5-ჯერ, რძისა – 1,5-ჯერ, კვერცხისა – 1,6-ჯერ და ა.შ.

ზემოაღნიშნული შედეგია იმ არასწორი აგრარული პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდა ხელისუფლება 2003-2012 წლებში და რომელმაც, თავის მხრივ, სოფლად შექმნა გაუსაძლისი ყოფა-ცხოვრების პირობები, რის შედეგადაც დაიწყო შრომისუნარიანი მოსახლეობის აქტიური მიგრაცია სამუშაოს საპოვნელად ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და საზღვარგარეთ. დაუმუშავებელი დარჩა მათი კუთვნილი მიწა (60%-მდე) ან უკიდურესი გაჭირვების გამო გაიყიდა და მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოელების ხელში აღმოჩნდა.

მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის საქმეში არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის მოქალაქეთა უზრუნველყოფა სრულფასოვანი, დაბალანსებული სურსათით.

სრულფასოვანია სურსათი, თუ იგი საკმარისი რაოდენობით შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის აუცილებელ ინგრედიენტებს: ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს, ხელისუფლება ვალდებულია მოსახლეობას შეუქმნას ისეთი სოციალური პირობები, რომ მან შეძლოს ჯანმრთელობისთვის აუცილებელი რაოდენობის დაბალანსებული საკვების შეძენა-მოხმარება. კერძოდ, ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად, საკვებ რაციონში პური უნდა შეადგენდეს დღეში – 350 გრამს, ხორცი – 200 გრამს, რძე და რძის ნაწარმი – 960 გრამს, კარტოფილი – 170 გრამს, ბოსტნეული – 370 გრამს, ხილი – 210 გრამს, თევზი – 50 გრამს, ცხიმი – 30 გრამს, შაქარი – 100 გრამს.

ეს ნორმები ემყარება საერთაშორისო ნორმებს და გათვალისწინებულია საშუალო ასაკის 70 კგ, მსუბუქი შრომით დაკავებული 31-50 წლის მამაკაცისათვის (იგივეა 60 კგ წონის ქალისათვის) და შეადგენს 2800 კკალ დღეში (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებული ნორმა შეადგენს 2450 კკალ). ეს მონაცემები მართალია პერიოდულად იცვლება ასაკის, წონის, გეოგრაფიული გარემოს და სხვა ფაქტორების გავლენით, მაგრამ არა არსებითად.

დღეს საკვების მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმები ძალზე უხეშადაა დარღვეული. განსაკუთრებით დაბალია სასიცოცხლოდ აუცილებელი ცილოვანი საკვების მოხმარება (ხორცის მოხმარება შემცირებულია – 2,5-3-ჯერ, თევზის – 4-5-ჯერ, რძის პროდუქტების 2 3-ჯერ), ცილოვანი დეფიციტი კი საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, განსაკუთრებით ბავშვების, მოზარდებისა და ხანდაზმულებისთვის.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ხორცის მოხმარება (საშუალოდ) მოსახლეობის კვების რაციონში, გამოხატული კალორიებში, 3-5%-ს არ აღემატება, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის კი – 1%-ს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მხარეებიდან ხორცს ყველაზე მეტად მოიხმარს კახეთის (5%), ყველაზე ნაკლებად კი აჭარის მოსახლეობა 2% (კალორიების მიხედვით კვების რაციონში). საყურადღებოა ის, რომ ქალაქების მოსახლეობა მეტად განიცდის სურსათის (და მათ შორის ცილების) დეფიციტს, ვიდრე სოფლის მოსახლეობა, რაც აიხსნება იმით, რომ ქალაქის მოსახლეობა იძულებულია გასწიოს მეტი არასასურსათო ხარჯები (ტრანსპორტი, კომუნალური გადასახადები და ა.შ.), რაც ამცირებს სასურსათო ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. მეორეს მხრივ, სოფლად ფულის

დეფიციტი ამცირებს არასასურსათო ხარჯებს. ქვეყანაში სასურსათო და არასასურსათო ხარჯების შეფარდება 70:30, რაც ძალზე დაბალი ცხოვრების დონის მაჩვენებელია (განვითარებულ ქვეყნებში ეს შეფარდება პირიქითაა და სასურსათო დანახარჯები მთელი ხარჯის 15 20%-ს შეადგენს).

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანა, რომელიც თვითონ იყო ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტიორი, 2-3-ჯერ ნაკლებს მოიხმარს ამ პროდუქციას, ვიდრე განვითარებული (იტალია, გერმანია და სხვა) და ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნები (რუსეთი, უკრაინა), რაც ჩვენი მოსახლეობის უკიდურესად დაბალი მსყიდველობითი უნარით უნდა აიხსნას.

საყურადღებოა პურისა და პურპროდუქტების (ბურღულეულის ჩათვლით) მოხმარების მაღალი მაჩვენებელი: მაგალითად, პურისა და პურპროდუქტების მოხმარება 1,8-2,0-ჯერ მეტია ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით, რის გამოც საკვები რაციონის ენერგეტიკული ღირებულების თითქმის 62% პურპროდუქტებზე მოდის. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ხორცის, რძისა და რძის პროდუქტების, თევზის, ხილისა და ბოსტნეულის საპირისპიროდ, პურპროდუქტები ღარიბია ორგანიზმის არსებობისათვის აუცილებელი ინგრედიენტებით: ცილებით, ცხიმებით, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით.

ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი მოსახლეობა დაბალი მსყიდველუნარიანობის გამო ძირითადად პურით იკვებება და დღიური რაციონის ენერგეტიკული ღირებულების კომპენსაციას პურით ახდენს (განვითარებულ ქვეყნებში პურის წილი საკვებ რაციონში 12-15%-ს არ აღემატება). ასეთი დისბალანსი საკვებ რაციონში ბუნებრივია, პათოლოგიურ ცვლილებებს, ჯანმრთელობის გაუარესებას და სავალალო შედეგებს იწვევს, რაც გამოიხატება კიდეც ბოლო წლების სტატისტიკაში (განსაკუთრებით თვალშისაცემია ბავშვთა სიკვდილიანობა, რითაც ჩვენ პირველ ადგილზე ვართ ევროპაში და ზოგადად, ფატალური შედეგებით ავადობის უპრეცედენტო მატება).

საჭიროა აღინიშნოს, რომ 2009 წლის შემდეგ ჩვენ არ გვაქვს მწირი ინფორმაციაც კი მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების მდგომარეობის შესახებ, რადგან 2010 წლიდან სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში გაუქმებულ იქნა მასთან არსებული „სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორია“ და ფაქტობრივად არ მიმდინარეობს არანაირი კვლევა და სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავება სასურსათო უსაფრთხოების თემატიკაზე.

დინამიკაში თუ განვიხილავთ მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარებას 1991 წლიდან დღემდე, ეს მაჩვენებელი თანდათან მცირდებოდა და 1995 წელს ყველაზე დაბალი იყო, შემდგომში (1997-98 წწ.) მოკრძალებულად, მაგრამ მაინც დაიწყო მატება 2003 წლის ჩათვლით, თუმცა მაინც მნიშვნელოვნად ნაკლები დარჩა ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით: ხორცზე 2,5-ჯერ, რძესა და რძის პროდუქტებზე – 1,7-ჯერ. აქაც პურის მოხმარება 2-ჯერ მეტი იყო ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით.

აღსანიშნავია ის, რომ მომდევნო 2004-2009 წლებში ადგილი ჰქონდა სასურსათო პროდუქციის მოხმარების არა თუ შემდგომ გაზრდას და მდგომარეობის რამდენადმე გამოსწორებას, არამედ მოხდა პირიქით და 2009 წლის მოხმარების მაჩვენებლები კიდევ უფრო დაშორდა ფიზიოლოგიურ ნორმებს, კერძოდ: ხორცი და ხორცპროდუქტები – თითქმის 2,5-ჯერ, რძე და რძის პროდუქტები – 2,7-ჯერ, ბოსტნეული – 2,5-ჯერ, კვერცხი – 2,7-ჯერ. რაც შეეხება პურის მოხმარებას, 2004 წლიდან 2009 წლის ჩათვლით ეს მაჩვენებელი სტატისტიკაში არ ჩანს; სავარაუდოა, რომ ის იმდენად მაღალია, რომ მისი გამოჩენა უხერხულობას გამოიწვევდა(!).

2010 Global Hunger Index კვლევის თანახმად საქართველო იმ სახელმწიფოებს შორის აღმოჩნდა, სადაც შიმშილობის საშუალო დონეა. გაეროს მიერ დადგენილი ნორმით, ადამიანი შიმშილობს, თუ ის დღეში 1800 კკალორიაზე ნაკლებს იღებს. ამავე კვლევის შედეგებით საქართველო ჩამორჩება მეზობელ ქვეყნებს: სომხეთს და აზერბაიჯანს (2008 წ.).

მოსახლეობის 50% გაეროს მიერ განსაზღვრულ მინიმუმზე – 2150 კკალორიაზე ნაკლებს იღებს, ხოლო 22% კი კრიტიკულზე – (1800 კკალ-ზე) გაცილებით ნაკლებს – 1600 კკალორიას. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ თვით რაციონის ხარისხობრივ შემადგენლობას და იმ ფაქტს, რომ ამ კალორიების ნახევარზე მეტი პურზე მოდის, მოსახლეობის მდგომარეობა კომენტარს აღარ საჭიროებს.

Low-Income Food-Deficit Countries-ის 2012 წელს გამოქვეყნებული დასკვნის თანახმად, საქართველო დაემატა იმ 66 ქვეყნის ჩამონათვალს, სადაც სურსათის დეფიციტია, ხოლო შემოსავლები ძალზე მცირე.

გაეროს მსოფლიოს მოსახლეობის ორგანიზაციის მონაცემებით (2011 წ.) საქართველოს მოსახლეობის 13%-ს (ანუ 600 ათასი ადამიანი) დღეში შეუძლია დახარჯოს მხოლოდ 1,25 დოლარი, ანუ 2 ლარი. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში: სომხეთში ასეთი მოსახლეო-

ბის რიცხვი 4%-ია, აზერბაიჯანში, რუსეთში, ყაზახეთში, მოლდავეთში – 2%.

FAO-ს მონაცემებით, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელი კრიტიკულ ზღვარზე ქვემოთაა და ყოველწლიურად ქვეითდება. აღნიშნულს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლით საქართველომ განვითარებადი ქვეყნების მე-5 ჯგუფიდან მე-6 ჯგუფში გადაინაცვლა და უღარიბესი ქვეყნების (სუდანი, კამერუნი, ნიგერია და სხვ.) რიცხვშია.

ყოველივე ეს მიანიშნებს მასზედ, რომ საქმე გვაქვს სასურსათო გენოციდთან, რასაც ნებსით თუ უნებლიედ ახორციელებდა ყოფილი ხელისუფლება საკუთარი ხალხის მიმართ.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ჯერ კიდევ 2003 წელს NATO-ს სოფლის მეურნეობის დაგეგმვის კომიტეტმა (FAPC), საქართველოს მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების მაჩვენებლები საგანგაშოდ ჩათვალა და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მდგომარეობა საგანგებოდ შეაფასა, მიუთითა შესაბამის სასწრაფო ღონისძიებებზე მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაშინდელმა ხელისუფლებამაც არ დააყოვნა და NATO-ს მიერ საგანგაშოდ შეფასებული, სურსათის მოხმარების მაჩვენებლები იმავე 2003 წლის 8 მაისის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანებით №111-ნ დაამტკიცა „ნორმად“ (სადაც სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ). ამ ბრძანების თანახმად, ხორცის მოხმარების მაჩვენებელი 80 გრ/დღ ჩაითვალა „ნორმად“, რომელიც 2,5-ჯერ ჩამორჩება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმას (200 გრ/დღ), რძისა და რძის პროდუქტების ნორმა შემცირდა 4,5-ჯერ (!) 960 გრამიდან 215 გრამამდე, ბოსტნეულის განახევრდა 370 გრამიდან 182 გრამამდე, შაქარი შემცირდა 100 გრამიდან 55 გრამამდე. ხოლო პურის მოხმარების ნორმა – 350 გრამიდან გაზრდილია 400 გრამამდე დღეში (!).

ამრიგად, ფიზიოლოგიურ ნორმად ჩაითვალა მინიმალური საკვების ის რაოდენობა, რის მიღებასაც მოსახლეობა ახერხებდა და მოხმარების მაჩვენებელიც ახალ „ნორმებს“ დაუახლოვდა, ზოგიერთი პროდუქტისთვის გადააჭარბა კიდეც (რძე და რძის ნაწარმი). ასე მარტივად „მოგვარდა“ სასურსათო უსაფრთხოების დარღვევის საგანგაშო მდგომარეობა, ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევის და სათანადო ღონისძიებების გატარების გარეშე და ამ ე.წ. „ნორმების“ მიხედვით ჩვენი მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების ვიზუალური სურათი „არც თუ ისე სავალალოდ“ გამოჩნდა (!).

ასევე საინტერესოა 2011 წლის ივნისში აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ (www.choosemyplate.gov) გამოქვეყნებული სურსათის რეკომენდებული ნორმები. მათთან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის განსაზღვრული „ახალი ნორმების“ შედარებით აღმოჩნდა, რომ საქართველოს ზრდასრული, შრომისუნარიანი მამაკაცისთვის (31-50 წ.) განსაზღვრული ნორმა ბევრად ჩამორჩება არა მარტო იგივე კატეგორიის აშშ-ის მოქალაქისთვის რეკომენდებულ ნორმას (კერძოდ, ხორცზე – 2,3-ჯერ, რძესა და რძის პროდუქტებზე – 3,2-ჯერ, ბოსტნეულზე – 3,2-ჯერ, ხილზე – 2,3-ჯერ რაც, ბუნებრივია, გაკვირვებას არ იწვევს, რადგან 2003 წლამდე ჩვენთან არსებულ ნორმებთან შედარებითაც იგივე სურათია), არამედ ნაკლებია 3,5-4 წლის ბავშვის ნორმაზეც კი!

როგორც აღნიშნული ბრძანების სათაურიდან („საკვებ ნივთიერებათა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“) ირკვევა, აღნიშნული ღონისძიების გატარება ძირითადად ე.წ. „სასურსათო კალათის“ ღირებულების შემცირების მიზნით მოხდა, რათა შემცირებულიყო ე.წ. „საარსებო მინიმუმის“ ღირებულება, როგორმე დაახლოებოდა მოსახლეობისთვის გაცემულ პენსიებსა თუ სხვა შემწეობებს, ან როგორმე შემცირებულიყო ის უზარმაზარი განსხვავება, რაც პენსიებს, შემწეობებსა და არსებობისათვის საჭირო თანხას შორის არსებობდა. ამ მიზნით სასურსათო კალათაში მნიშვნელოვნად შემცირდა ძვირადღირებული პროდუქციის ჩამონათვალი და გაიზარდა შედარებით იაფი პროდუქციის რიცხვი.

სამწუხაროდ, ამ დანაშაულებრივი ღონისძიების გადახედვით და გამოსწორებით დღემდე არცერთი მთავრობა არ დაინტერესებულა და სასურსათო კალათას და მისგან გამომდინარე საარსებო მინიმუმს ამ ნორმებით ანგარიშობენ.

**ეს „ახალი სასურსათო კალათა“ დღისათვის (2013 წლის ივლისი) 101,36 ლარის ღირებულების საარსებო მინიმუმს იძლევა, რაც მაინც მიუწვდომელია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის.**

**სპეციალური შესწავლის შედეგად დავადგინეთ, რომ საქართველოში საარსებოდ მიღებული მინიმალური ნორმის შესაბამისი სასურსათო კალათის რეალური ღირებულება 148 ლარია, რომელიც 31,52 პროცენტით აღემატება ოფიციალურად**

**მიღებულ – 101,36 ლარს (ეს უკანასკნელი ემყარება ხელოვნურად შემცირებულ მოთხოვნილებებს).**

**საარსებო მინიმუმის გაანგარიშება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ხორციელდება ე.წ. *ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდის* საფუძველზე – მიჩნეულია, რომ სურსათის წილი ამ მაჩვენებელში უნდა შეადგენდეს 70 პროცენტს (რაც არასწორია, რადგან ადამიანს, როგორც გონიერ არსებას სხვა მოთხოვნილებებიც გააჩნია. განვითარებული მსოფლიოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულია, რომ ეს მაჩვენებელი საარსებო მინიმუმში 15-30% ფარგლებში უნდა მერყეობდეს), დანარჩენი 30 პროცენტით კი უნდა დაიფაროს ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის არასასურსათო საქონლისა და მომსახურების ღირებულება. ეს ნიშნავს იმას, რომ რეალური საარსებო მინიმუმის ღირებულება – 211,42 (148+63,42) ლარი, 1,46-ჯერ მეტი იქნება დადგენილ – 144,8 (101,36+43,44) ლარზე თვეში. სასურსათო და სამომხმარებლო ხარჯების გათანაბრების (0.5/0.5) შემთხვევაში (რაც სწორი და სავსებით მისაღები გადაწყვეტილება იქნება), საარსებო მინიმუმის ღირებულება 296 (148+148) ლარს გაუტოლდება** (ცნობისათვის, ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანში – 328 ლარია, სომხეთში – 230 ლარი, რუსეთში – 390 ლარი, ესტონეთში – 520 ევრო, სლოვენიაში – 830 ევრო, აშშ-ში 902,5 დოლარი, ნორვეგიაში – 2100 ევრო).

2006 წლის შემდეგ საარსებო მინიმუმის ამჟამად მოქმედ მეთოდოლოგიაზე გადასვლისას მყისიერად, 30 პროცენტით შემცირდა მისი ღირებულება (დაბალანსებული კვების რაციონის ნაცვლად ნორმატიულ ბაზაში შეტანილ იქნა შედარებით ნაკლებად დაბალანსებული კვების პროდუქტები, აგრეთვე მაქსიმალურად შეიზღუდა ცხოველური წარმომავლობის კვების პროდუქტების წილი).[4]

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საარსებო მინიმუმში სურსათისა და დანარჩენი საქონლის თანაფარდობა პროპორციით 0.7/0.3. ეს პროპორცია სასწრაფოდაა შესაცვლელი – უნდა მკვეთრად შემცირდეს სასურსათო კომპონენტის წილი და გაიზარდოს არასასურსათო კომპონენტის წილი (ეს იმ დროს, როდესაც ინფლაციის გასაანგარიშებელ კალათაში სურსათის წილი წლიდან წლამდე მცირდება და ამჟამად 30 პროცენტს არ აღემატება). ამ შემთხვევაში, თვით ამჟამად მოქმედი მინიმალური სასურსათო ნორმისა და სადღეღამისო კალორიულობის შენარჩუნების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაიზრდება საარსებო მინიმუმის ღირებულება (**101,36 + 101,36 = 202,72 ლარი**).

აღნიშნული ცვლილებით საარსებო მინიმუმის ღირებულება საგრძნობლად მიუახლოვდება მის ფაქტობრივ დონეს, ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება აგრეთვე ამჟამად კატასტროფულად დაშორებული „საარსებო მინიმუმისა" და „სიღარიბის" ცნებათა შინაარსობრივ დაახლოებისაკენ.

**დასკვნის მაგიერ.** ჩვენ იმპორტის საშუალებით შემოგვაქვს სურსათის 70%-ზე მეტი, რის გამოც ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი მკვეთრად უარყოფითია. თუ ქვეყანას სურს ჰქონდეს გაწონასწორებული სავაჭრო ბალანსი, რამდენადაც შესაძლებელია უნდა მოვახდინოთ ადგილობრივი წარმოების სურსათით იმპორტის ჩანაცვლება, ხოლო გამოთავისუფლებული ვალუტა ეროვნული აგროწარმოების განვითარებას მოვახმაროთ. ამ სტრატეგიული მიზნის რეალიზაციისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიცნობიეროთ, რომ სასურსათო უზრუნველყოფის მიღწევა, ესაა ქვეყნის ეროვნული უშიშროების განმტკიცების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და იგი უნდა დარჩეს ქვეყნის განვითარების მთავარ ორიენტირად, როგორც ახლო, ისე შორეულ პერსპექტივაში.

***საქართველოს* მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის ინტერესები და მრავალდარგოვან *აგრარულ სექტორში შექმნილი კრიზისის დაძლევის აუცილებლობა,* გადაუდებლად მოითხოვს:**

• სოფლის მეურნეობის დაქუცმაცებული საწარმოო ბაზის გამსხვილება-გამასივებას (სასოფლო-სამეურნეო მიწის კონსოლიდაცია);

• მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბებას და მათ ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოებთან ვერტიკალურ ინტეგრაციას (წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლი);

• ეფექტიანი საგადასახადო, სადაზღვევო, საბაჟო, საფინანსო, საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას;

• სპეციალიზებული ურთიერთდახმარების, კოოპერაციული აგროკრედიტის სისტემის შექმნას;

• ერთი ან რამდენიმე მარეგულირებელი სამსახურის შექმნას – ამ ეტაპზე მარცვლე-

4 აღსანიშნავია, რომ საარსებო მინიმუმის ეხლანდელ კალათაში სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ-ის დონეზე, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებულ ნორმაზე (2450 კკალ) საგრძნობლად ნაკლებია.

ულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში;[5]

• სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას, ასევე თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას.

**ამასთან, აგრომეურნეებს უნდა მოეხსნათ ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია:** მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, მელიორაციული, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ზოოვეტმომსახურების, ბაზარზე ფასების ტენდეციების განსაზღვრის, კრედიტის ხელმისაწვდომობის, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისა და ეროვნული ბაზრის დაცვის საკითხების გადაწყვეტასთან.[6]

**სოფლად შემოსავლების ზრდისა და ქალაქთან გათანაბრებული ცხოვრების პირობების შესაქმნელად, საქართველოს მთავრობამ, მსგავსად დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებისა, რამდენიმე დებულებით უნდა იხელმძღვანელოს:**

• სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის (სოფლის სტატუსი, რეალური თვითმართველობა, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა), განვითარება, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა, ეროვნული იდენტურობისა და მოსახლეობის შენარჩუნებას უწყობს ხელს;

• გარემოს დაცვა/შენარჩუნება და მასთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარება სოფლად დასაქმებისა და შემოსავლის ზრდის პოტენციალს შეიცავს;

• ინფორმაციის (მ.შ. ტელეკომუნიკაციის) გავრცელებისა და განათლების მიღების ხელმისაწვდომობა სოფლის, ქალაქთან გათანაბრების აუცილებელი პირობაა;

• სოფლად პროდუქციის სამრეწველო გადამუშავების გაზრდა და ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისება სამუშაო ადგილების ზრდას უზრუნველყოფს.

ჩამოთვლილი დებულებები სრულად პასუხობენ „ლისაბონის სტრატეგიისა“ და „ევროპა-2020-ს“ 5 მოთხოვნას ეკონომიკური „ზრდისა და მეტი, უკეთესი, სამუშაო ადგილის შექმნის შესახებ“.

**საქართველოს გარდაქმნა მაღალგანვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად** (შემდეგ ეტაპზე, ინდუსტრიულ ქვეყნად, ზეგანვითარებული სოფლის მეურნეობით), **რომელიც თვითონ დაიკმაყოფილებს თავის სასურსათო და სხვა საარსებო მოთხოვნილებებს, ექნება დადებითი სალდო პარტნიორ ქვეყნებთან ვაჭრობაში და ექსპორტის საგნად – მეცნიერებატევადი სამრეწველო, მეცნიერული და მაღალი ხარისხის ნატურალური სოფლის მეურნეობის პროდუქცია,** არის ის სასურველი მიმართულება, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საქართველოს სასურსათო და ზოგადად ეკონომიკურ უშიშროებასაც ანუ შეუნარჩუნოს მას გარანტირებული ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა გარე ძალების ნებისაგან დამოუკიდებლად.

ეს ამოცანა თავისთავად რა თქმა უნდა არ შესრულდება. ამ მიზნით **საჭიროა აგროსასურსათო სექტორის განვითარების მიზანმიმართული სტრატეგიისა და მის საფუძველზე რაციონალური სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შემუშავება,** რომელიც ორიენტირებული იქნება ზემოაღნიშნული მთავარი ამოცანის შესრულებაზე.

5 იხილეთ პ. კოღუაშვილისა და თ. კუნჭულიას ნაშრომი „სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი აგროსასურსათო სექტორში,“ სსმმა-ის „მოამბე,“ ტ. 29, 2011.

6 იხილეთ პ. კოღუაშვილის შრომა „რა ემართება და რა ჰმართებს ქართულ სოფელს”, სემა-ის შრომათა კრებული №11, 2013.

# FOOD SAFETY, THE PRIMARY DUTY OF THE GOVERNMENT

***PAATA KOGUASHVILI,***
***GTU Full Professor***
***SHOTA CHKHEIDZE,***
***Doctor of Technical Scienses***

In the article it's been discussed the problem having the greatest importance in Georgia – the protection of population's food safety. In order to ensure the food safety it is considered that the share of local production of food resources must consist of 80 to 85 percent (minimal cut-off is 60 per cent). The researches made by the authors' show that the above-mentioned indicator is much lower. The fact needs to be considered and arranged by the government.

In the article there are given the recommendations and suggestions about enhancement of food and minimum living age level. It is proved what should be considered as food security and what kind of threats will be cause by the failure of these problems. The article outlines that the government must consider this matter as its primary duty.

The fact of budgeting the country's most important field – agriculture with very small amounts (approximately 0.4% to 1.5%) and the level of foreign direct investment in this field shows how the former government was ignoring the agriculture. In the end of the article the authors offer recommendations of improving the existing situation in this field.